კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №6
2024 წლის 16 თებერვალი

ქ. კასპი

„კასპის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 15 დეკემბრის №27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის და ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„კასპის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 15 დეკემბრის №27 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 19/12/2023; 190040000.35.149.016515) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება;

ა) დადგენილებით დამტკიცებული წესის 25-ე მუხლის 1-ელ პუნქტში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ამ მუხლით დახმარებას მიიღებს კასპის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული და მცხოვრები პირი, რომელიც პროკურორის მიერ გაცემული დადგენილებით ან სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით ცნობილია დაზარალებულად (ოჯახური ძალადობის მსხვერპლად).“;

ბ) დადგენილებით დამტკიცებული წესის 25-ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი ან/და პროკურორის მიერ გაცემული დადგენილება დაზარალებულად, ოჯახური ძალადობის მსხვერპლად ცნობის შესახებ;“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

კასპის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **შოთა ბეგლარაშვილი**